დანართი 2

რუკაზე მონიშნული ტერიტორია მოიცავს:
1. მარცხენა სანაპიროზე: დავით აღმაშენებლის გამზირს მთლიანად; უშუალოდ მარცხენა სანაპიროს – გრიბოედოვის ძეგლიდან მეტეხის წარბის გაყოლებაზე მაჭრის ხევამდე და ბარათაშვილის აღმართს ქეთევან წამებულის გასწვრივ კროპოტკინის ქუჩამდე.

2. მარჯვენა სანაპიროზე: რუსთაველის გამზირს ფილარმონიდან თავისუფლების მოედნის ჩათვლით; უშუალოდ მარჯვენა სანაპიროს – სასტუმრო ივერიის გასწვრივიდან იბრაჰიმ ისფაჰანელის ქუჩამდე; განივ კავშირებს მათ შორის – გიორგი ჭანტურიას, პუშკინისა და ბარათაშვილის, კონსტანტინე აფხაზის ქუჩების გასწვრივ და კალაუბანს.

· მარცხენა სანაპიროზე ტერიტორიის საწყისი წერტილი მდებარეობს წინამძღვრიშვილის ქუჩისა და ცაბაძის ქუჩის გადაკვეთაზე, მიუყვება ცაბაძის ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს დავით აღმაშენებლის გამზირამდე; შემდეგ მიუყვება დავით აღმაშენებლის გამზირის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს, ამ მიმართულებით ჰკვეთს თამარ მეფის, ბაქოს ქუჩას, მთლიანად მოიცავს კარგარეთელის, ტოვსტონოგოვის, ზ. ჭავჭავაძის და მარჯანიშვილის ქუჩებს და მათ შორის ტერიტორიებს, კვლავ მიუყვება დავით აღმაშენებლის გამზირის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს, ამ მიმართულებით ჰკვეთს კიევის, მაზნიაშვილის, სუნდუკიანის, ვარციხის, ქურდიანის, ტყვიავის, გოგიბერიძის ქუჩებს, გასდევს ხეთაგუროვის ქუჩის შუა ხაზს ახვლედიანის აღმართამდე, მიუყვება ახვლედიანის ქუჩის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს აბდუშელიშვილის ქუჩამდე, მიუყვება ალვანისა და არარატის ქუჩის შუა ხაზს არმაზის ქუჩამდე, მოიცავს არმაზის ქუჩას მთლიანად და მათი გადაკვეთიდან მოიცავს დუშეთის ქუჩას მთლიანად ქეთევან წამებულის მოედნამდე, შემდეგ მთლიანად მოიცავს ქეთევან წამებულის მოედანს ფაღავას ქუჩის ლუწი რიცხვის უკანა ეზოების ჩათვლით, მიუყვება ქეთევან წამებულის გამზირის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს იზაშვილის ქუჩამდე, გადმოდის ქუჩის მეორე მხარეს და შემდეგ ქეთევან წამებულის გამზირს კენტი რიცხვების უკანა ეზოების გასწვრივ მიუყვება ურბნისის ქუჩამდე, დარეჯანის სასახლესთან უკანა ეზოებით გასდევს მეტეხის აღმართს და მთლიანად მოიცავს ჯორბენაძის ქუჩის ორივე მხარეს მაჭრის ხევამდე, საიდანაც შემდეგ დინების საწინააღმდეგოდ მოუყვება მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გრიბოედოვის ძეგლამდე, უხვევს ჩრდილოეთით, ჭოროხის ქუჩის გასწვრივ ჰკვეთს უზნაძის ქუჩას და ვარციხის ქუჩისკენ კენტი რიცხვების უკანა ეზოებს, მოიცავს ვარციხის ქუჩის უკანა ეზოებს, უხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და მიუყვება დავით აღმაშენებლის გამზირის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს, ამ მიმართულებით ჰკვეთს აბაშიძის, სანკტ-პეტერბურგის ქუჩებს მარჯანიშვილის ქუჩამდე, მთლიანად მოიცავს მარჯანიშვილის ქუჩის უკანა ეზოებს მარჯანიშვილის ქუჩიდან უ. ჩხეიძის ქუჩამდე, შემდეგ კვლავ მიუყვება დავით აღმაშენებლის გამზირის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს და ამ მიმართულებით ჰკვეთს ტეტელაშვილის, კრილოვის, პასტერის ქუჩებს, თამარ მეფის გამზირს და ცაბაძის ქუჩასთან გარს უვლის მუსკომედიის თეატრს, მოიცავს მუშტაიდის ბაღის კუთხის შენობებს, მიუყვება ცაბაძის ქუჩის წყვილ მხარეს ბორის პაიჭაძის სტადიონის ღობის გასწვრივ და წინამძღვრიშვილის ქუჩასთან უერთდება საწყის წერტილს.

· მარჯვენა სანაპიროზე ტერიტორიის საწყისი წერტილი მდებარეობს და იწყება კოსტავას ქუჩაზე №43 სახლთან და ამ სახლის ჩათვლით მიუყვება კენტი რიცხვების უკანა ეზოებს, ამ მიმართულებით ჰკვეთს ნ.ნიკოლაძის, მიმინოშვილის, ვაშლოვანის, ეკალაძის ქუჩებს ვარდების მოედნამდე, მთლიანად მოიცავს ვარდების მოედანს, გ.ახვლედიანის, ქიაჩელის, ჯავახიშვილის ქუჩების მოედნის მიმდებარე უკანა ეზოების ჩათვლით, კვეთს ინაშვილის ქუჩას, გასდევს კვალის ქუჩის შუა ხაზს და შემდგომ მიუყვება რუსთაველის გამზირის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს, ამ მიმართულებით ჰკვეთს მესხიას, რევაზ ლაღიძის, ვ.აბაშიძის, ჭანტურიას, ჯორჯაძის, ფურცელაძის ქუჩებს, ფურცელაძის ქუჩიდან მიუყვება გუდიაშვილის ქუჩის შუა ხაზს პუშკინის მოედნამდე, უხვევს ხელმარცხნივ და მიუყვება პუშკინის ქუჩის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს თაბუკაშვილის ქუჩამდე, შემდეგ თაბუკაშვილის ქუჩის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს ფურცელაძის ქუჩის გადაკვეთამდე, შემდეგ ხელმარჯვნივ ფურცელაძის წყვილი და ფხოვის ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს ათონელის ქუჩამდე, საიდანაც მიუყვება ალექსანდრეს ბაღის საზღვარს ვირსალაძის ქუჩამდე და მიუყვება ვირსალაძის ქუჩის ლუწი რიცხვის და ბროსეს ქუჩის კენტი რიცხვის უკანა ეზოებს თაბუკაშვილის ქუჩის შესახვევამდე, შემდეგ გასდევს ბროსეს და აპოლონ ქუთათელაძის ქუჩის შუა ხაზს თაბუკაშვილის ქუჩის №51 სახლამდე, რომლის გასწვრივ ჩადის მდინარე მტკვართან, უხვევს ხელმარჯვნივ და დინების მიმართულებით მარჯვენა სანაპიროს მოუყვება იბრაჰიმ ისფაჰანელის ქუჩამდე, სადაც ჰკვეთს გორგასლის ქუჩას და უკანა მიმართულებით მიუყვება გორგასლის ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს ფირდოუსის ქუჩამდე, რის შემდგომ იერთებს ახუნდოვის ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს, გრიშაშვილის ქუჩის კენტ და ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს მირზა შაფის ქუჩის ჩათვლით და დასავლეთისკენ გაუყვება მდ. ლეღვთახევის

ხეობას, მოიცავს ბოტანიკური ბაღის ნაწილს და სოლოლაკის ხეივანში განთავსებული მუზეუმის გასწვრივ უხვევს ჩრდილოეთისაკენ, გადაკვეთს სოლოლაკის ქედს, მთლიანად მოიცავს ასკანის ქუჩის უკანა ეზოებს, გადაკვეთს ლადო ასათიანის ქუჩას პურის მოედანთან, მთლიანად მოიცავს პურის მოედანს და მის მიმდებარე უკანა ეზოებს, გასდევს ხანძთელის ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს აბოვიანის ქუჩამდე, შემდეგ მიჰყვება კონსტანტინე ათეხაზის ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს ერეკლე მეორეს ქუჩამდე, შემდგომ ერეკლე მეორეს ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს ჩახრუხაძის ქუჩამდე და შემდგომ ჩახრუხაძის ქუჩის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს ბარათაშვილის ქუჩამდე, აქედან საზღვარი უხვევს ხელმარცხნივ და გასდევს ბარათაშვილის ქუჩის ლუწი რიცხვის უკანა ეზოებს პუშკინის ქუჩამდე, აქ საზღვარი კიდევ ერთხელ უხვევს ხელმარცხნივ და გასდევს პუშკინის ქუჩის კენტი რიცხვის უკანა ეზოებს თავისუფლების მოედნამდე, საიდანაც მიუყვება დადიანის ქუჩის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს №20 სახლის ჩათვლით, შემდეგ ლერმონტოვის ქუჩის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს გალაქტიონ ტაბიძის ქუჩამდე, უხვევს ჩრდილოეთით და გასდევს გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის ლუწი და ლეონიძის ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოების გასწვრივ, იქვე ჰკვეთს ლეონიძის ქუჩას და მიუყვება ლეონიძის ქუჩის კენტი რიცხვების უკანა ეზოებს თავისუფლების მოედნისაკენ, გასდევს თავისუფლების მოედნის მიდებარე უკანა ეზოებს რუსთაველის გამზირის მიმართულებით, საიდანაც მიუყვება ჩრდილო-დასავლეთით რუსთაველის გამზირის ლუწი რიცხვების უკანა ეზოებს, ამ მიმართულებით ჰკვეთს 9 აპრილის, ჭიჭინაძის, ლესია უკრაინკას, ბესიკის, მიტროფანე ლაღიძის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიბოედოვის, სარაჯიშვილის, ზმები კაკაბაძეების, ზანდუკელის, ჭოველიძის ქუჩებს ერეკლე ტატიშვილის ქუჩამდე, სადაც გადაკვეთავს მელიქიშვილის ქუჩას, მოიცავს კოსტავას ქუჩის №38 საამშობიარო სახლს და შეუერთდება საწყის წერტილს.

რუკაზე ასევე მონიშნულია მარჯვენა სანაპიროს კარკასული მიმართულებების გამაერთიანებელი ჭანტურიას და კონსტანტინე ათეხაზის ქუჩები, რომელთა საზღვრები უკანა ეზოებს ქუჩის ორივე მხარეს მიუყვება. ამ არეალში შედის მშრალი ხიდი, ბარათაშვილის ხიდი, მეტეხის ხიდი ასევე ახლად აგებული მშვიდობის ხიდი.